

საბანკო მომსახურების ზოგიერთი საკითხი საბაზრო ეკონომიკის პირობებში

გიგოლაშვილი მირიან – პედაგოგი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Banking Services in Some of the Market Economy

Gigolashvili Mirian – Invited Specialist, Department of Business Administration, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Introduction and aim: „The banking service with one of the market economy“, the focus is on the fact that banking is a business like any other case, more than one field of activity for easy even seem. But this reality is not easy and not so easy to control as the bank mechanism. His error-free operation of the whole community depends on farming to normal.

In Georgia, the number of commercial banks more than two decades. Commercial banks in the disclosure which tried to find out what types of physical bodies in which bank deposits and the currency into their own savings. Absolute majority of the banks' deposit accounts can be opened with 3 types of currencies: GEL, USD and Euro. Some banks are added to the pound sterling. According to the variety of the highest coverage for depositors "Bank of Georgia", where more than ten kinds of currency deposits can be opened.

Research methodology: The article deals with bank deposits and each deposit according to the types of benefits% of the accrual of separate currencies. For this purpose the methodology of the survey, which is based on secondary statistical data.

Results and implications: The article deals with bank deposits and each deposit according to the types of benefits% of the accrual of separate currencies.

Conclusion: It should be noted that the benefits of reducing interest rates in the recent period, compared to the trend. To some extent this is due to the fact that there is a low-interest rate loans.

Keywords: bank accounts, benefits, interest rates, deposit types

მესავალი და მიზანი: სტატიაში „საბანკო მომსახურების ზოგიერთი საკითხი საბაზრო ეკონომიკის პირობებში“, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ საბანკო საქმეც ყველა სხვა ბიზნესის მსგავსი საქმე, უფრო ადვილად კი მოგეგვინოს ვიდრე რომელიმე დარგის საქმიანობა. თუმცა ეს რეალობა არ არის ვინაიდან ბანკი რთული და არც თუ ისე ადვილი სამართავი მექანიზმია. მის უშეცდომო მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება.

ამჟამად საქართველოში კომერციული ბანკების რაოდენობა ორ ათეულს აჭარბებს. კომერციული ბანკების გასაჯაროებული ინფორმაციების გამოყენებით შევეცადეთ გაგვეჩვენა ფიზიკურ პირებს შორის რომელ ბანკში რა სახის ანაბრებზე და რომელ ვალუტაში შეუძლიათ საკუთარი დანაზოგის შეტანა. ბანკების აბსოლიტურ უმრავლესობაში ანაბრებზე ანგარიშების გახსნა შესაძლებელია 3 სახის ვალუტაში: ლარში, აშშ დოლარსა და ევროში. ზოგიერთ ბანკებში ემატება გირვანქა სტერლინგი. ანაბრების ნაირსახეობის მიხედვით ყველაზე დიდი დაფარვის ზონა აქვს „საქართველოს ბანკს“, სადაც ათზე მეტი სახის ვალუტაში შეიძლება ანაბრების გახსნა.

კვლევის მეთოდოლოგია: სტატიაში საუბარია საბანკო ანაბრების სახეებზე და თითოეული ანაბრის მიხედვით სარგებლის %-ის დარიცხვაზე, ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით. ამისათვის გამოვიყენეთ კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც დაფუძნებულია მეორად სტატისტიკურ ინფორმაციაზე.

შედეგები და გამოყენება: სტატიაში საუბარია საბანკო ანაბრების სახეებზე და თითოეული ანაბრის მიხედვით სარგებლის %-ის დარიცხვაზე, ცალ-ცალკე ვალუტების მიხედვით.

დასკვნა: საგულისხმოა, რომ სარგებლის საპროცენტო განაკვეთები განვილი პერიოდთან შედარებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება. გარკვეულწილად ეს განპირობებულია იმით, რომ შეიმჩნევა სესხებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთი.

საკვანძო სიტყვები: საბანკო ანაბარი, სარგებელი, საპროცენტო განაკვეთი, ანაბრის სახეები

საბაზრო ეკონომიკა ბიზნესის სამყაროა. ამ სამყაროში ყოველგვარი ბიზნესი პოულობს თავის ადგილს. საბანკო საქმეც ყველა სხვა ბიზნესის მსგავსი საქმეა, ზოგჯერ კი იგი შეიძლება უფრო ადვილად კი მოგვეჩვენოს ვიდრე რომელიმე, დაუშვით, სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო, ან სავაჭრო საქმიანობა. ეს მხოლოდ მოჩვენებითობა იქნება და არა რეალობა, ვინაიდან ბანკი რთული და არც თუ ისე ადვილად სამართავი მექანიზმია. ის მოქნილ შეუფერხებელ, უშეცდომო მუშაობაზე ბევრად არის დამოკიდებული მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის ნორმალური ფუნქციონირება. მავ დროს ბანკი ყველაზე ადრე, სწრაფად და ზუსტად რეაგირებს ყველა იმ ცვლილებებზე, რომელიც შეიძლება საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების, განაწილების, მიმოქცევისა და მოხმარების პროცესში მოხდეს.

საბანკო სისტემამ თავისი განვითარებასთან უმაღლეს წერტილს კაპიტალიზმის ეპოქაში მიაღწია, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მონათმფლობელობის დროს ჩაისახა. შუა საუკუნეებში ვაჭარ კაპიტალისტებს გამოეყო ფულით მოვაჭრე განსაკუთრებული ფენა, რომლებიც ადგილობრივ და უცხოურ ვალუტას უცვლიდნენ მოსახლეობას. კაპიტალიზმის ჩასახვასთან და განვითარებასთან ფულით მოვაჭრეთა ეს ფენა თანდათანობით ბანკირებად გადაიქცა. მათ ხელში თავს იყრიდა ვაჭრობის თავისუფალი თანხები ანაზრების ანუ მიზარებული ფულის სახით, რომელიც შემდეგ გასესხების ობიექტად გადაიქცეოდა.

საბანკო საქმე ჯერ კიდევ მე-14 საუკუნეში ჩაისახა იტალიის ქალაქებში, კერძოდ ვენეციასა და გენუაში. მევახშეობის კლანჭებიდან თავის დაღწევის მიზნით, ამ ქალაქების ვაჭრებმა შექმნეს სპეციალური საკრედიტო ასოციაციები, რომლებიც მისაღებ პირობებში აძლევდნენ სესხს თავიანთ წევრებს. მე-16-17 საუკუნეებში იტალიურმა, ჰოლანდიურმა, გერმანულმა სავაჭრო გილდიებმა შექმნეს ე.წ. ჟირო-ბანკები, რომლებიც თავდაპირველად ვაჭრებისაგან ღებულობდნენ ანაზრებს და მათთვის აწარმოებდნენ უნაღლო ანგარიშსწორებებს, ხოლო შემდეგ დაიწყეს საკრედიტო ოპერაციებიც. ანკის უმთავრესი ფუნქცია საკრედიტო ოპერაციებში შუამავლის როლის შესრულებაა, ერთის მხრივ, თავისუფალი ფულადი თანხების- ფულადი კაპიტალის –თავმოყრა, ხოლო, მეორეს მხრივ, ამ თანხების დაბანდება კრედიტის სახით საზოგადოებრივი მეურნეობის სხვადასხვა დარგებში.

ამჟამად საქართველოში 21 კომერციული ბანკი ფუნქციონირებს, ესენია: “აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო”, “ბაზის ბანკი”, “ბითიეი ბანკი”, “ვითიბი ბანკი ჯორჯია”, “თიბისი ბანკი”, “ზირაათ ბანკის” თბილისის ფილიალი, “თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი”, “პროგრეს ბანკი”, “ინვესტბანკი”, “კავკასიის განვითარების ბანკი –საქართველო”, “ბანკი კონსტანტა”, “კორ სტანდარტ ბანკი”, “ლიბერთი ბანკი”, “პაშა ბანკი საქართველო”, “პრივატბანკი”, “პროკრედიტ ბანკი”, ბანკი “რესპუბლიკა”, “საქართველოს ბანკი”, “ფინკა ბანკი საქართველო”, “ბანკი ქართუ”, “ხილაკ ბანკი საქართველო”.

კომერციული ბანკების ვებ-გვერდებზე განთავსებული ინფორმაციების გამოყენებით, შევეცადეთ გაგვეჩვენოთ, ფიზიკურ პირებს რომელ ბანკში რა ანაზრებზე და რომელ ვალუტებში შეუძლიათ საკუთარი დანაზოგების შეტანა. გამონაკლისია 5 ბანკი: “ზირაათ ბანკის” თბილისის ფილიალი, “თურქეთის იმ ბანკის ბათუმის ფილიალი”, “კავკასიის განვითარების ბანკი-საქართველო”, “პაშა ბანკი საქართველო”, “ფინკა ბანკი საქართველო”, რომელთა საიტებზე შესაბამისი ინფორმაციები არ იყო ამ დროისათვის განთავსებული.

ბანკების აბსოლიტურ უმრავლესობაში ანაზრებზე ანგარიშების გახსნა შესაძლებელია 3 სახის ვალუტაში: ლარში, აშშ დოლარსა და ევროში, “თიბისი ბანკში” არის ლარში, აშშ დოლარში, ევროსა

და აგრეთვე გირვანქა სტერლინგში; “საქართველოს ბანკში” კი ამ 4 სახის ვალუტას კიდევ ემატება შემდეგი ვალუტები: რუსული რუბლი, შვეიცარიული ფრანკი, თურქული ლირა, კანადური დოლარი, აზერბაიჯანული მანათი, სომხური დრამი, ჰონკონგური დოლარი, ნორვეგიული კრონი, დანიური კრონი, ავსტრალიური დოლარი, იაპონური საბავ.იენი, ისრაელის შეკელი, ჩეხური კრონა, პოლონური ზლოტი, ბელორუსული რუბლი, უნგრული ფორინტი, ინდური რუპია, სინგაპურული დოლარი. “პრივატბანკში” ანაბრების ვალუტებია ლარი, აშშ დოლარი, ევრო და რუბლი.

რაც შეეხება ანაბრების სახეობებს, ბანკების მიხედვით შემდეგია:

“აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკ-საქართველოში” 4 სახის: ვადიანი ანაბარი, საინვესტიციო ანაბარი, საბავშვო ანაბარი, VIP ანაბარი”;

“ბაზის ბანკში” 6 სახის: ვადიანი ანაბარი, სასარგებლო ანაბარი, მოთხოვნამდე ანაბარი, საბავშვო ანაბარი, ზრდადი მომავლის ანაბარი, ზრდადი ანაბარი;

“ბითიეი ბანკში” 5 სახის ანაბარია ვადიანი დეპოზიტი, ზრდადი დეპოზიტი, შემნახველი დეპოზიტი, მოთხოვნამდე დეპოზიტი;

“ვითიბი ბანკ ჯორჯიაში” 7 სახის: მოთხოვნამდე ანაბარი, კომფორტული საბავშვო ანაბარი, ვადიანი ანაბარი;

“თიბისი ბანკში” 9 სახის: ანაბარი “ჩემი მიზანი”, ოქროს ანაბარი, ვადიანი ანაბარი, სადეპოზიტო სერტიფიკატი, ვადიანი პლუს ანაბარი, შემნახველი ანაბარი, ანაბარი “ჩემი სეიფი”, საბავშვო ანაბარი, მიმდინარე ანგარიში;

“ინვესტბანკში” 4 სახის: ვადიანი ანაბარი, ზრდადი ანაბარი, საბავშვო ანაბარი, მოთხოვნამდე ანაბარი;

“კორ სტანდარტ ბანკში” 6 სახის: ROYAL ანაბარი, შემნახველი ანაბარი, უნივერსალური ანაბარი, ზრდადი დაგროვებადი ანაბარი, საბავშვო ანაბარი, ვადიანი ანაბარი;

“ლიბერთი ბანკში” 8 სახის: პატრიოტი, შემნახველი, მშვიდი ანაბარი, ანაბარი პოზიტივი, შევსებადი ანაბარი, სოციალური ანაბარი, ანაბარი მზრუნველი;

“პრივატბანკში” 3 სახის: ანაბარი “სტანდარტი”, ანაბარი “ყულაბა”, მომსახურება “თავისუფალი ფული”;

“პროგრეს ბანკში” 5 სახის: ვადიანი დეპოზიტი, ზრდადი დეპოზიტი, მოთხოვნამდე დეპოზიტი, საბავშვო დეპოზიტი, პროგრესული დეპოზიტი;

“პროკრედიტ ბანკში” 5 სახის: ვადიანი ანაბარი, მოქნილი ანაბარი, ზრდადი ანაბარი, საბავშვო ანაბარი, შემნახველი ანაბარი;

“ბანკ რესპუბლიკაში” 8 სახის: ვადიანი ანაბარი, ზრდადი ანაბარი, საბავშვო ანაბარი, ანაბარი “მეტი”, მოთხოვნამდე ანაბარი, პრივლეგირებული ანაბარი, “მეგობარი” ანაბარი, კონვერტირებადი ანაბარი;

“საქართველოს ბანკში” 6 სახის: ვადიანი ანაბარი, შეგროვებადი ანაბარი, საბავშვო ანაბარი, მაქსიმა ანაბარი, მოთხოვნამდე ანაბარი, ელექტრონული ყულაბა;

“ბანკ ქართუში” 5 სახის: ვადიანი ანაბარი, მოქნილი ანაბარი, ზრდადი ანაბარი, საბავშვო ანაბარი, მოთხოვნამდე ანაბარი;

“ხალიკ ბანკ საქართველოში” 3 სახის: ვადიანი ანაბარი, ზრდადი ანაბარი, მოთხოვნამდე ანაბარი;

ზემოთ მოყვანილი საბანკო ანაბრებიდან განვიხილოთ შედარებით ყველაზე მეტად გავრცელებული ანაბრის სახეები. ნალიზი გვიჩვენებს, რომ ასეთი ანაბრებია: მოთხოვნამდე ანაბარი, ვადიანი ანაბარი და საბავშვო ანაბარი.

მოთხოვნამდე ანაბარი განუსაზღვრელი ვადით იხსნება. ამ ტიპის ანაბარი ყველაზე უფრო მოსახერხებელია იმ თვალსაზრისით, რომ თანხის შეტანაც და გამოტანაც ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი, თუმცა სხვა ტიპის ანაბრებთან შედარებით, ყველაზე უფრო დაბალი სარგებელი ერიცხება. ზემოთ განხილული 16 ბანკიდან, “აზარბაიჯანის საერთაშორისო ბანკ-საქართველოში” და პრივატბანკში მოთხოვნამდე ანაბრები არ აქვთ დანარჩენში კი ასეთი პროცენტებია:

ცხრილი 1.

წლიური სარგებელი %

№	ბანკები	ლარი	დოლარი	ევრო	სტერლინგი
1.	“ზაზის ბანკი”	3	2	1	
2.	“ბითიეი ბანკი”	4	2	1,5	
3.	“ვითიბი ბანკი ჯორჯია”	2	1,5	1,5	
4.	“თიბისი ბანკი”	2	1	1	
5.	“ინვესტბანკი”	2	1	1	1
6.	“ბანკი კონსტანტა”	4	2	1	
7.	“კორ სტანდარტ ბანკი”	3	2	1	
8.	“ლიბერთი ბანკი”	5	4		
9.	“პროგრეს ბანკი”	3,5	2,5	2	
10.	“პროკრედიტ ბანკი”	2,5	1,5	1,5	
11.	ბანკი “რესპუბლიკა”	2	1	1	
12.	“საქართველოს ბანკი”	2	1	1	1
13.	“ბანკი ქართუ”	3	2	2	
14.	“ხალიკ ბანკი”	3	2	1	

ამ ტიპის ანაბარზე ეროვნულ ვალუტაში მაქსიმალური წლიური სარგებელია 5%, რომელსაც “ლიბერთი ბანკი” გვთავაზობს, შემდეგ მოდის “ბითიეი ბანკი” და “ბანკი კონსტანტა”, თითოეული 4%-ს გვთავაზობს, ხოლო მინიმალურია 2%, რომელსაც 5 ბანკი (“ვითიბი ბანკი ჯორჯია”, “თიბისი ბანკი”, “ინვესტბანკი”, ბანკი “რესპუბლიკა”, “საქართველოს ბანკი”) გვთავაზობს. “ლიბერთი ბანკი” კი მოთხოვნამდე (შემნახველ) ანაბარს ევროში საერთოდ არ ხსნის. სამაგიეროდ, სწორედ “ლიბერთი ბანკში” აშშ დოლარში ანაბარზე არის 4%, მაშინ როდესაც სხვა ბანკებში სარგებელი 1-1,5-2-2,5%-ია; 2,5% არის მხოლოდ “პროგრეს ბანკში”, 1%-I კი “თიბისი ბანკში”, “ინვესტბანკში”, ბანკ “რესპუბლიკასა” და “საქართველოს ბანკში”.

ვადიანი ანაბარი კლიენტებისათვის იმითაა მიმზიდველი, რომ მას სხვა სახის ანაბრებთან შედარებით ყველაზე უფრო მაღალი სარგებელი ერიცხება, ამასთან რაც მეტია ანაბარის ვადიანობა, საპროცენტო სარგებელიც მით უფრო მაღალია. ქ შეზღუდვა ისაა, რომ ანაბარი იხსნება ფიქსირებული თანხითა და გარკვეული ვადით. ს იმას ნიშნავს, რომ ვადის ამოწურვამდე დაუშვებელია ანაბარზე განთავსებულ თანხაზე დამატებითი შენატანის გაკეთებაც და მისი წილობრივი თუ სრულად გამოტანაც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკთან დადებული ხელშეკრულება დარღვეულად ჩაითვლება და ანაბარზე განთავსებულ თანხას მოთხოვნამდე ანაბრის შესაბამისი სარგებელი დაერიცხება.

ცხრილის ანალიზიდან ჩანს, რომ ლარებით ერთი წლით ვადიან ანაბარზე მაქსიმალური სარგებელია 12%, რომელსაც გვთავაზობს 3 ბანკი: “ინვესტბანკი”, “ლიბერთი ბანკი” და “პროგრეს ბანკი”; მინიმალურ სარგებელს -6,75%-ს კი “პროკრედიტ ბანკი” და ბანკი “რესპუბლიკა” გვთავაზობენ.

აშშ დოლარებით ერთწლიან ვადიან ანაბარზე მაქსიმალური სარგებელია “ინვესტბანკში” და ის 10%-ს შეადგენს. 9,5%-იანი სარგებლით “ბანკი კონსტანტა” მას მხოლოდ 0,5%-ით ჩამორჩება. ამ ვალუტით მინიმალური სარგებელი შეადგენს 4,25%-ს, რომელსაც ბანკი “რესპუბლიკა” გვთავაზობს.

ცხრილი 2.

ვადიანი ანაბრები 1 წლით ბანკების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

წლიური სარგებელი %

№	ბანკები	ლარი	დოლარი	ევრო	სტერლინგი
1.	აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო	7,5	5,5	4,5	
2.	“ბაზის ბანკი”	9	6	4,75	
3.	“ბითიეი ბანკი”	11	6,5	5	
4.	“ვითიბი ბანკი ჯორჯია”	7	5	5	
5.	“თიბისი ბანკი”	8,5	5	5	5
6.	“ინვესტბანკი”	12	10	8	
7.	“ბანკი კონსტანტა”	10	9,5	8	
8.	“კორ სტანდარტ ბანკი”	9,5	6	5,5	
9.	“ლიბერთი ბანკი”	12	6,5	7,5	
10.	“პროგრეს ბანკი”	12	7,5	6,5	
11.	“პროკრედიტ ბანკი”	6,75	4,75	4,75	
12.	ბანკი “რესპუბლიკა”	6,75	4,25	4,25	
13.	“საქართველოს ბანკი”	9	5	5	5
14.	“ბანკი ქართუ”	8	6	6	
15.	“ხალიკ ბანკი”	9	6	6	

ევროებში ყველაზე მაღალი განაკვეთი -8% “ინვესტბანკსა” და “ბანკ კონსტანტაშია”, ყველაზე დაბალი -4,25% კი ბანკ “რესპუბლიკაში”.

საბავშვო ანაბრის გასახსნელად პირველადი მინიმალური შენატანია საჭირო, ამის შემდეგ კი გარკვეული პერიოდულობით უნდა დაემატოს თანხა, რომელიც ბანკის მიერ დაწესებულზე ნაკლებს არ უნდა წარმოადკი ანაბრის გასახსნელად პირველადი შენატანის გაკეთებას არ მოითხოვს. საბავშვო ანაბარი იხსნება ბავშვის სახელზე, მშობლის ან მესამე პირის მიერ, გარკვეული ვადით. ბავშვის სრულწლოვანებამდე ანაბრის განკარგვის უფლება აქვს ანაბრის გამხსნელს, ხოლო ბავშვის სრულწლოვანების დადგომისთანავე ეს უფლება გადადის მასზე.

“ლიბერთი ბანკში”, “პრივატბანკსა და “ხალიკ ბანკში” საბავშვო ანაბრებს არ ხსნიან, დანარჩენ ბანკებში საპროცენტო განაკვეთებია: (იხ.ცხრილი 3)

ეროვნული ვალუტით საბავშვო ანაბრებზე მაქსიმალური სარგებელი 13%-ია და მას გვთავაზობს 2 ბანკი -”ბითიეი ბანკი” და “ბანკი კონსტანტა”; მინიმალური სარგებელი კი 7%-ია და მასაც გვთავაზობს ასევე 2 ბანკი -”პროკრედიტ ბანკი” და ბანკი “რესპუბლიკა”.

აშშ დოლარებში გახსნილ ანაბრებზე ყველაზე მაღალსარგებელი -10% “პროგრესს ბანკშია”, ყველაზე დაბალი -5,25% კი 4 ბანკში: “ვითიბი ბანკი ჯორჯია”, “თიბისი ბანკში”, ბანკი “რესპუბლიკასა” და “საქართველოს ბანკში”.

ევროებში გახსნილ საბავშვო ანაბრებზე მაქსიმალური სარგებელია 9%, რომელიც -”ბითიეი ბანკსა”და “პროგრესს ბანკშია”; მინიმალური სარგებელი კი 5%-ს შეადგენს და მას გვთავაზობს 3 ბანკი: ზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო”, “ინვესტბანკი” და “ბანკი კონსტანტა”.

ცხრილი 3.

წლიური სარგებელი

№	ბანკები	ლარი	დოლარი	ევრო	სტერლინგი
1.	აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო	8	6	5	
2.	“ბაზის ბანკი”	10,25	8,5	7,25	
3.	“ბითიეი ბანკი”	13	9	9	
4.	“ვითიბი ბანკი ჯორჯია”	7,25	5,25	5,25	
5.	“თიბისი ბანკი”	8,75	5,25	5,25	5,25
6.	“ინვესტბანკი”	10	7	5	
7.	“ბანკი კონსტანტა”	13	6,75	5	
8.	“კორ სტანდარტ ბანკი”	10	6,5	6	
9.	“პროგრესს ბანკი”	13	10	9	
10.	“პროკრედიტ ბანკი”	7	5,5	5,5	
11.	ბანკი “რესპუბლიკა”	7	5,25	5,25	
12.	“საქართველოს ბანკი”	9,25	5,25	5,25	5,25
13.	“ბანკი ქართუ”	8,5	6	6	

ბოლო ორ წელიწადში ბანკებმა ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთები მნიშვნელოვნად შემცირეს, ეროვნული ბანკის ინფორმაციით, საბაზრო საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე შემცირდა 2,4%-ით, მათ შორის ეროვნული ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე 2,3%-ით და უცხოური ვალუტით ფიზიკური პირების დეპოზიტებზე 2,4%-ით.

ასევე ეროვნული ბანკის ინფორმაციით, 2014 წლის იანვარში, 213 წლის იანვართან შედარებით, საპროცენტო განაკვეთები შემცირდა უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე 2,4%-ით, ხოლო ეროვნული ვალუტით განხორციელებულ დაკრედიტებაზე 1,5%-ით.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოვზანაძე ი. საქართველოს კომერციული ბანკების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე და მათი გადაწყვეტის გზები გარდამავალი ეკონომიკის პირობებში, 2003 წელი.
2. ცაავა გ. საბანკო საქმე, თბილისი 2005 წელი.
3. გამსახურდია გ., ფინანსური ეკონომიკა თანამედროვე ეტაპზე 2009 წელი.
4. კაკულია რ., ხელაია გ. –ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბილისი 2003 წელი.
5. კაკულია რ, გაბელაშვილი კ. –ფინანსების თეორია
6. პერიოდული ჟურნალი „ აუდიტი, აღრიცხვა, ფინანსები“ .